

შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	7
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
5. ამონაგები.....	16
6. საოპერაციო ხარჯები	17
7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	17
8. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	18
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
11. სასაქონლო მარაგები.....	19
12. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები	19
13. ძირითადი საშუალებები.....	20
14. არამატერიალური აქტივები.....	21
15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	22
16. სასესხო ვალდებულებები.....	22
17. წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	23
18. საწესდებო კაპიტალი.....	24
19. ფინანსური რისკები	24
20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	25
21. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	26
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	26
23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	26



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გუდაური სქი რესორტის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ გუდაური სქი რესორტის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - 'ჯგუფი') თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ გუდაური სქი რესორტისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური

ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა რეალური არჩევანი.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონიერულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიული სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი: გიორგი ასლამაზაშვილი

შპს „ეკონომაუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

9 სექტემბერი 2019

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი: გიორგი ასლამაზაშვილი

შპს „ეკონომაუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

09 სექტემბერი 2019



Handwritten signature in blue ink.

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	771 801	630 593
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1 699 167	827 019
მიმდინარე სასაქონლო მარაგები	11	1 011 986	736 445
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	12	100 000	100 000
საგადასახადო მოთხოვნა		266 581	255 318
სხვა არამატერიალური აქტივები	14	96 471	113 544
ძირითადი საშუალებები	13	30 789 366	27 739 859
სულ აქტივები		34 735 372	30 402 778
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5 769 647	3 462 692
საგადასახადო ვალდებულებები		104 880	54 634
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	16	990 229	14 713 508
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	836 690	945 615
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16	22 795 587	7 968 078
სულ ვალდებულებები		30 497 033	27 144 527
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		33 742 114	33 742 114
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(29 503 775)	(30 483 863)
სულ საკუთარი კაპიტალი		4 238 339	3 258 251
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		34 735 372	30 402 778

შპს გუდაური სქი რესორტის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი _____

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	771 801	630 593
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1 699 167	827 019
მიმდინარე სასაქონლო მარაგები	11	1 011 986	736 445
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	12	100 000	100 000
საგადასახადო მოთხოვნა		266 581	255 318
სხვა არამატერიალური აქტივები	14	96 471	113 544
ძირითადი საშუალებები	13	30 789 366	27 739 859
სულ აქტივები		34 735 372	30 402 778
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5 769 647	3 462 692
საგადასახადო ვალდებულებები		104 880	54 634
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	16	990 229	14 713 508
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	836 690	945 615
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16	22 795 587	7 968 078
სულ ვალდებულებები		30 497 033	27 144 527
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		33 742 114	33 742 114
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(29 503 775)	(30 483 863)
სულ საკუთარი კაპიტალი		4 238 339	3 258 251
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		34 735 372	30 402 778

შპს გუდაური სქი რესორტის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	11 519 447	10 557 854
		11 519 447	10 557 854
საოპერაციო ხარჯები	6	2 369 759	2 147 487
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	8	2 705 728	2 394 384
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		137 811	170 512
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	7	3 415 323	2 551 260
		8 628 621	7 263 643
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		2 890 826	3 294 211
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი		(32 876)	(18 899)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	17	(664 402)	507 011
საპროცენტო შემოსავალი		7 157	6 626
საპროცენტო ხარჯი		(1 290 226)	(1 787 011)
მიღებული დივიდენდები		62 638	39 405
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		6 971	1 376 523
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან		(1 910 738)	123 655
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე		980 088	3 417 866
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		980 088	3 417 866

შპს გუდაური სქი რესორტის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი _____

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	11 519 447	10 557 854
		11 519 447	10 557 854
საოპერაციო ხარჯები	6	2 369 759	2 147 487
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	8	2 705 728	2 394 384
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		137 811	170 512
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	7	3 415 323	2 551 260
		8 628 621	7 263 643
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		2 890 826	3 294 211
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი		(32 876)	(18 899)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	17	(664 402)	507 011
საპროცენტო შემოსავალი		7 157	6 626
საპროცენტო ხარჯი		(1 290 226)	(1 787 011)
მიღებული დივიდენდები		62 638	39 405
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		6 971	1 376 523
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან		(1 910 738)	123 655
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე		980 088	3 417 866
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		980 088	3 417 866

შპს გუდაური სქი რესორტის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი

შპს გუდაური სკი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	33 742 114	(33 901 729)	(159 615)
წლის სრული შემოსავალი	-	3 417 866	3 417 866
2017 წლის 31 დეკემბერი	33 742 114	(30 483 863)	3 258 251
წლის სრული შემოსავალი	-	980 088	980 088
2018 წლის 31 დეკემბერი	33 742 114	(29 503 775)	4 238 339

შპს გუდაური სკი რესორტის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი _____

შპს გუდაური სკი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	33 742 114	(33 901 729)	(159 615)
წლის სრული შემოსავალი	-	3 417 866	3 417 866
2017 წლის 31 დეკემბერი	33 742 114	(30 483 863)	3 258 251
წლის სრული შემოსავალი	-	980 088	980 088
2018 წლის 31 დეკემბერი	33 742 114	(29 503 775)	4 238 339

შპს გუდაური სკი რესორტის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი



შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		630 593	537 426
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები		13 405 283	12 582 869
უკან დაბრუნებული თანხები		17 895	8 570
შესყიდვები საოპერაციო საქმიანობისთვის		(2 493 874)	(1 693 084)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2 700 927)	(2 215 589)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები		(2 508 148)	(1 843 708)
გადახდილი გადასახადები		(1 557 141)	(1 412 655)
სესხის პროცენტის დაფარვა		(1 399 152)	(1 374 987)
უკან დაბრუნებული თანხები		(65 219)	(48 806)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2 698 717	4 002 610
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(921 374)	(509 353)
კაპიტალური ხარჯები		(2 869 579)	(1 812 528)
დივიდენდის მიღება		62 638	39 405
დეპოზიტის და სესხის % მიღება		7 157	6 626
არამატერიალური აქტივის შეძენა		-	(19 581)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3 721 158)	(2 295 431)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის მიღება		2 524 329	494 738
გაცემული სესხის დაბრუნება		11 000	-
სესხის ძირის დაფარვა		(1 359 624)	(2 103 762)
გაცემული სესხი		-	(11 000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		1 175 705	(1 620 024)
სავალუტო კურსის ეფექტი		(12 056)	6 012
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		141 208	93 167
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	771 801	630 593

შპს გუდაური სქი რესორტის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი _____

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		630 593	537 426
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები		13 405 283	12 582 869
უკან დაბრუნებული თანხები		17 895	8 570
შესყიდვები საოპერაციო საქმიანობისთვის		(2 493 874)	(1 693 084)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2 700 927)	(2 215 589)
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები		(2 508 148)	(1 843 708)
გადახდილი გადასახადები		(1 557 141)	(1 412 655)
სესხის პროცენტის დაფარვა		(1 399 152)	(1 374 987)
უკან დაბრუნებული თანხები		(65 219)	(48 806)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2 698 717	4 002 610
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(921 374)	(509 353)
კაპიტალური ხარჯები		(2 869 579)	(1 812 528)
დივიდენდის მიღება		62 638	39 405
დეპოზიტის და სესხის % მიღება		7 157	6 626
არამატერიალური აქტივის შეძენა		-	(19 581)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3 721 158)	(2 295 431)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის მიღება		2 524 329	494 738
გაცემული სესხის დაბრუნება		11 000	-
სესხის ძირის დაფარვა		(1 359 624)	(2 103 762)
გაცემული სესხი		-	(11 000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		1 175 705	(1 620 024)
სავალუტო კურსის ეფექტი		(12 056)	6 012
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		141 208	93 167
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	771 801	630 593

შპს გუდაური სქი რესორტის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი

შპს გუდაური სკი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გუდაური სკი რესორტ“ ს/კ 204576066 დაფუძნდა 2009 წლის 26 ნოემბერს. დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2009 წლის 1 დეკემბერს, სერტიფიკატის ნომერი N 100738. კომპანიის ამჟამინდელი 100% წილის მესაკუთრეა მავრიკიაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯორჯიან ინვესტმენტს ლიმიტედი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მაყაშვილის ქ., №31.

კომპანიას საკუთრებაში გააჩნია გუდაურში მდებარე ორი სასტუმრო: სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“ და სასტუმრო „ალპინა“.

შპს გუდაური სკი რესორტმა სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“ შეიძინა 2009 წლის დეკემბრის თვეში და მოახდინა სასტუმროს სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების ჩატარება, სასტუმროს განახლება, ხოლო სასტუმრო „ალპინა“ გაიხსნა 2014 წლის დასაწყისში.

შპს გუდაური სკი რესორტის საქმიანობის ძირითადი სფეროს წარმოადგენს სასტუმროს მომსახურების გაწევა.

შპს გუდაური სკი რესორტ ასევე ახორციელებს საინვესტიციო პროექტს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში. კომპანიას ქალაქ თბილისის მთავრობასთან 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საკუთრებაში გადაეცა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები და ხელშეკრულებით განისაზღვრა 5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის შესრულება. საინვესტიციო ტერიტორიაზე შპს გუდაური სკი რესორტმა მოაწყო საფეხბურთო ბაზა და სანერგე მეურნეობა. ასევე მიმდინარეობს ვილების მშენებლობა და მომავალში დაგეგმილია სპორტული გამაჯანსაღებელი ცენტრის მოწყობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

შპს გუდაური სკი რესორტმა 2015 წლის ოქტომბერში პარტნიორთან სანდრო ილაშვილთან ერთად დააფუძნა კომპანია შპს „მარკო პოლო სკი“ ს/კ 441484751. დღეის მდგომარეობით ამ კომპანიის კაპიტალში შპს გუდაური სკი რესორტს გააჩნია 25%-იანი წილი. შპს მარკო პოლო სკის შეძენილი აქვს სათხილამურო ინვენტარი და ყოველწლიურად გუდაურში სათხილამურო სეზონის განმავლობაში ახორციელებს ინვენტარის ქირით გაცემას და შემოსავლის მიღებას.

შპს გუდაური სკი რესორტმა 2010 წლის იანვარში დააფუძნა კომპანია სს გუდაური დეველოპმენტ კომპანი ს/კ 404378482, 2015 წლის ოქტომბერში კი - შპს მარკო პოლო რეზიდენსი ს/კ 441484788. აღნიშნული კომპანიები შეიქმნა გუდაურში სხვადასხვა პროექტების განხორციელების მიზნით, თუმცა მათ ფაქტობრივად საქმიანობა არ დაუწყიათ.

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება. კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთი ლარის სიზუსტით.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმო

2018 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა მოკლევადიან აქტივებს გადააჭარბა 3 951 911 ლარით. აღნიშნული გარემოება ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან დამფუძნებელი საზოგადოება თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში განაგრძოს ჯგუფის ფინანსური დახმარება და არ მოითხოვოს ვალდებულების დაფარვა იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას ჯგუფის ლიკვიდობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას.

ფინანსურ ანგარიშგებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი მსს ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით. ჯგუფმა მსს ფასს პირველად გამოიყენა 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად, გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შესადარისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ჯგუფის პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადდა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ჯგუფს არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება საზოგადოების და მისი სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგებებისაგან.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეულ შეფასებას და გადაწყვეტილებების მიღებას. ის, ასევე, ჯგუფის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა/ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს. ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს:

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

- მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის; ეს დანახარჯები შეიძლება მოიცავდეს აქტივისთვის ადგილის მომზადების დანახარჯებს, აქტივის ადგილზე მიტანისა და ჩატვირთვა/გადმოტვირთვის დანახარჯებს, მონტაჟისა და აწყობის დანახარჯებს, ასევე მისი ფუნქციური შესაძლებლობების ტესტირების დანახარჯებს;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა მიზნებისთვის, რაც დაკავშირებული არ არის მოცემულ პერიოდში მარაგის წარმოებასთან.

შემდგომში კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს ნაწილების გამოცვლისა და გაუმჯობესების მნიშვნელოვან დანახარჯებს, რომელთა მიზანია აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის გახანგრძლივება ან მისგან მიღებული შემოსავლის გაზრდა. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც კაპიტალიზაციის ამ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს, გაწევისას აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები, შესაბამისობის მიხედვით, ან ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარებულია როგორც ცალკე აქტივი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მომავალში მოელის ამ აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღებას და მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა ყველა რემონტისა და მომსახურების დანახარჯის აღიარება ხდება შესაბამისი პერიოდის ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

მიწას და აქტივებს, რომლებიც ჯერ არ შესულან ექსპლუატაციაში ცვეთა არ ერიცხებათ. სხვა ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
უძრავი ქონება	10-50
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	2-20
მოწყობილობა და დანადგარები	3-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
არამატერიალური აქტივები	5-10

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სასაქონლო მარაგები

სავაჭრო საქონელი, ასევე სხვა მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება. ამონაგები წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის, საქონლის დაბრუნებების, ფასდათმობების და მარკეტინგული აქტივობების დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს როდესაც შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

კრედიტორები წარმოადგენს ვალდებულებას საწარმოსთვის, ყოველდღიური საქმიანობის პირობებში, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთვის. კრედიტორები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში (ან თუ საწარმოს საოპერაციო ციკლი უფრო ხანგრძლივია, ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში). თუ დაფარვა მოსალოდნელია უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, მაშინ კრედიტორი წარმოადგენს გრძელვადიან ვალდებულებას. კრედიტორების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც ჯგუფის თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

დივიდენდი

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი აღიარება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც აღიარებულია საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე აისახება მომდევნო მოვლენების შენიშვნაში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა რომელშიც ის საქმიანობს, კერძოდ ქართული ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების გადაყვანა სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსის გამოყენებით ან გადახდის დღისთვის არსებული კურსის გამოყენებით ან გადაფასების დღის კურსით თუ პუნქტი გადაფასებულია. ასეთი ოპერაციებისგან და წლის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანისგან წარმოქმნილი საკუროსო სხვაობით გამოწვეული, სესხებთან დაკავშირებული და ყველა სხვა სახის საკუროსო სხვაობით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგება ზარალის უწყისში. ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები, რომლებიც წლის ბოლოს დაფიქსირდა:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (შენიშვნა 3), ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო საზოგადოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოვოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

4. მნიშვნელოვანი საარღებო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების, ფიზიკური მოხმარებისა თუ ცვეთის და აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს პარამეტრების. ცვლილებამ რომელიმე ერთ პირობაში ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის/ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირება.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

5. ამონაგები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, ჯგუფის ამონაგები შედგებოდა:

	2018	2017
სასტუმროს მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	11 001 633	10 155 804
სასტუმროს ქირიდან მიღებული შემოსავლები	154 245	132 957
სტადიონის ქირებიდან მიღებული შემოსავლები	329 910	234 218
სხვა შემოსავალი	33 659	34 875
სულ ამონაგები	11 519 447	10 557 854

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

6. საოპერაციო ხარჯები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, ჯგუფის საოპერაციო ხარჯი შედგებოდა:

	2018	2017
კვების პროდუქტის ხარჯი	1 210 166	1 183 604
მცირე ფასიანი ინვენტარი	202 116	159 742
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	82 208	47 970
ტურისტული მომსახურების საკომისიო	328 880	282 006
დასუფთავების ხარჯი	214 418	207 318
სასტუმროს მომსახურების სხვა ხარჯი	263 063	208 113
სტადიონის და მინდვრის მოვლა	68 908	58 734
სულ საოპერაციო ხარჯი	2 369 759	2 147 487

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2018 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა:

	2018	2017
იჯარის ხარჯი	32 039	30 160
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	967 330	630 141
საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურება	29 950	30 044
საბანკო მომსახურება	31 419	25 213
დაცვის ხარჯი	219 346	226 989
ცვეთა და ამორტიზაცია	1 466 276	1 207 413
საგადასახადო ხარჯი	314 636	294 215
რემონტის ხარჯი	235 200	86 087
სხვა ზოგადი ხარჯი	119 127	20 998
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	3 415 323	2 551 260

შპს გუდაური სკი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

8. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, ჯგუფის ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი შედგებოდა:

	2017	2017
შრომის ანაზღაურება	2 446 089	2 233 217
პრემია	140 880	141 359
დაზღვევა	18 759	19 808
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	2 705 728	2 394 384

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული სალაროში	36 680	114 134
ფული საბანკო ანგარიშებზე	734 950	516 288
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	771 630	630 422

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნების ბალანსები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოთხოვნები მომსახურებიდან	586 784	464 099
საექვო ვალების რეზერვი	(46 132)	(24 063)
წინასწარი გადახდები	1 158 515	375 983
გაცემული მოკლევადიანი სესხი	-	11 000
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 699 167	827 019

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

11. სასაქონლო მარაგები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასაქონლო მარაგების ბალანსები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
კვების პროდუქტი	179 982	166 291
დეკორატიული ხე-მცენარეები	287 681	287 778
მაღაზიის საქონელი	93 343	37 338
სხვა მარაგები	450 980	245 038
სულ სასაქონლო მარაგები	1 011 986	736 445

12. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები

ჯგუფი ფლობს 25%-იან წილს მეკავშირე საწარმოში შპს „მარკო პოლო სქი“, რომლისგან მიღებული დივიდენდი ჩართულია სხვა შემოსავალში 2018 წელს. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების ბალანსები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სს გუდაური დეველოპმენტ კომპანი	100 000	100 000
სულ მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები	100 000	100 000

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

13. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვლილება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის:

	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა-ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და ოფისის ინვენტარი	მოწყობილობა- დანადგარები და სხვა	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2017	7 358 862	4 530 391	15 708 221	251 812	4 003 956	1 137 652	32 990 894
შესყიდვა	-	2 037 184	3 179 261	58 300	813 935	1 231 871	7 320 551
რეალიზაცია	-	5 107 712	-	-	-	-	5 107 712
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	7 358 862	1 459 863	18 887 482	310 112	4 817 891	2 369 523	35 203 733
შესყიდვა	-	3 749 787	309 128	-	358 543	65 594	4 483 052
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	7 358 862	5 209 650	19 196 610	310 112	5 176 434	2 435 117	39 686 785
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2017	-	-	2 616 365	196 225	2 929 577	547 940	6 290 107
ცვეთის ხარჯი	-	-	646 987	20 661	341 364	164 755	1 173 767
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	-	-	3 263 352	216 886	3 270 941	712 695	7 463 874
ცვეთის ხარჯი	-	-	836 092	22 825	367 970	206 658	1 433 545
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-	-	4 099 444	239 711	3 638 911	919 353	8 897 419
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2017	7 358 862	4 530 391	13 091 856	55 587	1 074 379	589 712	26 700 787
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2017	7 358 862	1 459 863	15 624 130	93 226	1 546 950	1 656 828	27 739 859
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	7 358 862	5 209 650	15 097 166	70 401	1 537 523	1 515 764	30 789 366

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

14. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ცვლილება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის:

	ლიცენზია	პროგრამული უზრუნველყოფა	ლოგო და დიზაინი	ნებართვა	გვბ-გვერდი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2017	10 340	218 180	17 632	16 370	13 687	276 209
შესყიდვა	-	-	-	-	24 323	24 323
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	10 340	218 180	17 632	16 370	38 010	300 532
შესყიდვა	-	15 660	-	-	-	15 660
რეალიზაცია	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	10 340	233 840	17 632	16 370	38 010	316 192
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2017	2 102	129 905	13 003	-	9 125	154 135
ცვეთის ხარჯი	414	22 978	2 117	1 364	5 980	32 853
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	2 516	152 883	15 120	1 364	15 105	186 988
ცვეთის ხარჯი	414	23 191	801	1 637	6 690	32 733
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	2 930	176 074	15 921	3 001	21 795	219 721
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2017	8 238	88 275	4 629	16 370	4 562	122 074
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2017	7 824	65 297	2 512	15 006	22 905	113 544
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	7 410	57 766	1 711	13 369	16 215	96 471

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების ბალანსები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	3 723 355	1 514 963
გამოუმუშავებელი შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	1 828 761	1 743 079
გამოუმუშავებელი შემოსავალი ქირიდან	33 936	25 855
გადასახდელი ხელფასები	183 595	178 795
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5 769 647	3 462 692

16. სასესხო ვალდებულებები

ჯგუფს სს ლიბერთი ბანკისგან დამტკიცებული აქვს საკრედიტო ხაზი 7% საპროცენტო განაკვეთით აშშ დოლარში, რომლის ფარგლებშიც გაფორმებულია გრძელვადიანი ქვე-საკრედიტო ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულებებით ჯამურად ათვისებული თანხა შეადგენს 13 986 373 ლარს.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოკლევადიანი საბანკო სესხების ბალანსები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	USD	GEL	USD	GEL
ხელშ. # GCLCLA000177901-3879504 21.10.2016	-	-	5 518 261	14 304 436
ხელშ. # GCLCLA000199334-4171527 08.02.2017	-	-	105 100	272 440
ხელშ. # GCLCLA000221056-4510203 08.06.2017	-	-	52 709	136 632
ხელშ. # 101.4044064.001 30.11.2018	362 433	970 087	-	-
ხელშ. # 101.4044064.001-002 30.11.2018	7 525	20 142	-	-
სულ საბანკო სესხები	369 958	990 229	5 676 070	14 713 508

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

16. სასესხო ვალდებულებები (გაგრძელება)

სხვა სასესხო ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან სესხებს, როგორც ფიზიკური პირებისაგან, ასევე სხვადასხვა საზოგადოებებისგან. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიანი სესხების ბალანსები მოიცავს:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	მიღებული სესხი	დარიცხული პროცენტი	მიღებული სესხი	დარიცხული პროცენტი
რელინგტონი	3 069 578	-	2 972 786	-
შპს ნიუ სერვისი	409 824	220 242	409 824	220 242
ჯორჯიან ინვესტმენტს ლიმიტედ	228 950	56 557	221 730	34 822
უნირენჯი	2 552 941	9 704	1 974 738	-
გიორგი კაპანაძე	698 286	330 575	659 099	330 215
ილია კოკია	1 649 080	185 140	1 623 760	360 336
შპს იახტ კლუბი აფრა	8 750	-	8 750	-
შპს ინეტი	97 391	-	97 391	-
შპს კახეთი ვაინი	673 979	31 491	-	-
შპს რიჩემა	200 000	1 137	-	-
შპს მნკორპი	210 664	1 843	-	-
ხელშ. # 101.4044064.001 30.11.2018	12 578 929	-	-	-
ხელშ. # 101.4044064.001-002 30.11.2018	261 169	-	-	-
ხელშ. # 101.4044064.001-003 30.11.2018	156 046	-	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები	22 795 587	836 689	7 968 078	945 615

17. წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დამთავრებული პერიოდების განმავლობაში, ჯგუფის წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე მოიცავდა:

	2018	2017
უცხოური ვალუტით ოპერაციებიდან შემოსავალი	-	12 654
უცხოური ვალუტით ოპერაციებიდან ზარალი	(18 467)	(14 267)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	150 887	514 695
სავალუტო გადაფასების ზარალი	(796 822)	(6 071)
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	(664 402)	507 011

* ბალანსებში თანხები მოცემულია სახელმწიფო ვალუტის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში 31 დეკემბრის კურსით

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

18. საწესდებო კაპიტალი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჯგუფის საწესდებო კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 33 742 ათასი ლარს.

აღნიშნული სიდიდით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი ჩამოყალიბებულია 2012 წლიდან და შემდგომში მეტად აღარ შეცვლილა.

19. ფინანსური რისკები

ფინანსური რისკის ფაქტორები

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის და სხვა საფასო რისკი), საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვის პროგრამა ფოკუსირებულია ფინანსური ბაზრის არაპროგნოზირებაზე და მიზნად ისახავს კომპანიას ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის შემცირებას.

ა) სავალუტო რისკი

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ოპერირებს საქართველოს მასშტაბით, მისი შემოსავლების უმეტესი ნაწილი მიიღება აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში და ამასთან ჯგუფს გააჩნია აშშ დოლარში დაფიქსირებული სოლიდური ვალდებულება მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტების სახით. ამდენად უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე. ამიტომ ხელმძღვანელობა ეწევა სისტემატურ მონიტორინგს ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით წარმოშობილი სავალუტო რისკის მისაღები ლიმიტების უზრუნველსაყოფად.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს ჯგუფისთვის. დებიტორები შედგებიან სხვადასხვა მომხმარებლებისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საჩქვო ვალების რეზერვის შექმნით.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

19. ფინანსური რისკები (გაგრძელება)

მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქონდა რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

საბალანსო მონაცემების მიხედვით ჯგუფი ხასიათდება ლიკვიდურობის დაბალი მაჩვენებლებით, რაც მნიშვნელოვან წილად განპირობებულია მსხვილი მოკლევადიანი სესხების არსებობით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სესხები კაპიტალიზებულია ახალ პროექტებში, საიდანაც ჯგუფი მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. კომპანიას განზრახული აქვს მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზანია დაიცვას თავისი უნარი გააგრძელოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით რათა უზრუნველყოს უკუგება კაპიტალზე დამფუძნებლებისათვის და სხვა სარგებელი დაინტერესებული მხარეებისათვის.

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ და უმაღლესი ხელმძღვანელობა. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთი ტრანზაქციების განხორციელება, რისი უფლებაც დაუკავშირებელ მხარეებს არ აქვთ. ხოლო ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებს შორის შეიძლება ხორციელდებოდეს დაუკავშირებელ მხარეებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	მიღებული სესხი	გადახდილი პროცენტი	მიღებული სესხი	გადახდილი პროცენტი
მფლობელი	-	-	-	-
მენეჯმენტი	18 750	320 787	100 000	115 369
სხვა დაკავშირებული მხარეები	489 256	15 749	107 657	1 332 852
სულ დაკავშირებული მხარეები	508 006	336 536	207 657	1 448 221

შპს გუდაური სქი რესორტ

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

21. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2017 წლის იანვრიდან კომპანია ჩართულია სამართლებრივ დავაში შპს „ჯეო იმპორტთან“, რომლის საფუძველზეც ჯგუფზე რეგისტრირებულია სასამართლო აკრძალვა: 102017033114 01/02/2017 (საგანი: უძრავი ნივთი: რაიონი ყაზბეგი, სოფელი გუდაური, 74.06.11.895, აკრძალოს ზემოაღნიშნული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. საფუძველი: განჩინება, N2/1889-17, 31.01.2017, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ მონაწილეობდა სხვა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში. ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში მნიშვნელოვანი ოდენობის დაურიცხავი ზარალის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

ვალდებულებები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას პირობითი ვალდებულებები არ გააჩნდა.

საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად იცვლება. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ აღმოჩენილა არანაირი შემდგომი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 24 მაისს.



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს გუდაური სქი რესორტის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს გუდაური სქი რესორტის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს გუდაური სქი რესორტის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს გუდაური სქი რესორტ. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, შპს გუდაური სქი რესორტ უფლებამოსილია არ მოამზადოს ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება, რადგან მისი შვილობილი საწარმოები არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

შპს „ეკონომაუდიტის“

გარიგების პარტნიორი: გიორგი ასლამაზაშვილი

თბილისი, საქართველო

10 სექტემბერი 2019



შპს ეკონომაუდიტი

მობ.: 598 45 85 90, 598 94 02 49
ელ-ფოსტა: economaudit@gmail.com
თბილისი, 0195, თ. ერისთავის ქ. №2, II სართული, №3
ს/ნ 400107745; ს.ს. „თბილისი ბანკი“, ა/ა GE46TB7011836020109005

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს გუდაური სკი რესორტის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს გუდაური სკი რესორტის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს გუდაური სკი რესორტის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს გუდაური სკი რესორტი. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, შპს გუდაური სკი რესორტი უფლებამოსილია არ მოამზადოს ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება, რადგან მისი შვილობილი საწარმოები არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

შპს „ეკონომაუდიტი“

გარიგების პარტნიორი: გიორგი ასლამაზაშვილი

თბილისი, საქართველო

10 სექტემბერი 2019



შპს გუდაური სქი რესორტ

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება და
2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს გუდაური სკი რესორტ-ის

მმართველობითი ანგარიშგება

შპს „გუდაური სკი რესორტ“ (ს/კ 204576066) დაფუძნებულია 2009 წლის 26 ნოემბერს. მისი ამჟამინდელი 100% წილის მესაკუთრეა მავრიკიაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯორჯიან ინვესტმენტს ლიმიტედი. შპს გუდაური სკი რესორტ-ს დაფუძნებული აქვს სამი შვილობილი კომპანია.

შპს გუდაური სკი რესორტ-ის დირექტორია ირაკლი მინაშვილი, ხოლო ძირითად მმართველობით გადაწყვეტილებების იღებს კომპანიის მმართველი გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან:

შპს გუდაური სკი რესორტ-ის დირექტორი;

შპს გუდაური სკი რესორტ-ის პროექტების დირექტორი;

შპს გუდაური სკი რესორტ-ის ფინანსური დირექტორი;

შპს გუდაური სკი რესორტ-ის საკუთრებაში არსებული სასტუმროების გენერალური მენეჯერები;

შპს „გუდაური სკი რესორტ“-ს საკუთრებაში გააჩნია გუდაურში მდებარე ორი სასტუმრო, სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“, რომელიც 1988 წლიდან მასპინძლობს სტუმრებს, ასევე სასტუმრო „ალპინა“, რომელიც 2014 წელს არის გახსნილი. კომპანიის საკუთრებაშია ასევე გუდაურში, მთაზე მდებარე კვების ობიექტი და ჰოსტელი ხის ქოხი „ხიჟინა“, რომელიც ფუნქციონირებს 1989 წლიდან. ამდენად კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სასტუმროს და კვების ობიექტებით მომსახურების გაწევა.

სასტუმროს მომსახურების რეალიზაცია ხდება სხვადასხვა გზით, კერძოდ ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული კომპანიების მეშვეობით, ონლაინ ტურისტული სააგენტოებისა (expedia, booking.com, hrs. და სხვა.) და სასტუმროს საიტების (www.marcopolo.ge და www.hotelpine.ge) მეშვეობით, კორპორატიულ კლიენტებთან თანამშრომლობითა და სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობით.

- სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“ აკმაყოფილებს 4 ვარსკვლავის საერთაშორისო დონეს. სასტუმროში განთავსებულია ჯამში 123 ნომერი, კერძოდ 89 სტანდარტული ნომერი, 24 ნახევრად ლუქსი, 7 საოჯახო ნომერი, 2 ლუქსი და 1 საპრეზიდენტო ნომერი. სასტუმრო ტურისტებს სთავაზობს 24 საათიან მომსახურებას და უზრუნველყოფს 4 ვარსკვლავიანი სტანდარტით აღჭურვილ ნომრებს.

მომსახურების ღირებულება დიფერენცირებულია სასტუმროს ნომრის კატეგორიისა და სეზონების მიხედვით. სასტუმროს მომსახურების რეალიზაცია ხორციელდება სტანდარტული, საახალწლო და ზაფხულის სეზონის ფასების მიხედვით. სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“-ში

ნომრების გასაყიდი ფასი მერყეობს 140 აშშ დოლარიდან 1750 აშშ დოლარამდე სეზონისა და ოთახების კატეგორიის მიხედვით.

სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“-ს ტერიტორიაზე განთავსებულია მთავარი რესტორანი (270 ადამიანის ტევადობის), 3 ბარი, ღამის კლუბი, საბავშვო გასართობი ზონა, სპა ცენტრი, საცურაო აუზი, 7 საკონფერენციო დარბაზი, 2 ტენისის კორტი. სასტუმრო ტურისტებს სთავაზობს სხვადასხვა საზაფხულო და ზამთრის ტურებს, როგორცაა რაფტინგი, ცხენებით გასეირნება, კვადრო ტურები, პარაგლაიდინგი და სხვა. სასტუმროს ტერიტორიაზე ხორციელდება სათხილამურო და სნოუბორდის აღჭურვილობის გაქირავება. სასტუმროს გააჩნია უფასო ავტოსადგომი და წვდომა სათხილამურო გზასთან.

- სასტუმრო „ალპინა“ აკმაყოფილებს 3 ვარსკვლავის საერთაშორისო დონეს. სასტუმროში განთავსებულია 64 სტანდარტული ნომერი. სასტუმრო ტურისტებს სთავაზობს 24 საათიან მომსახურებას და უზრუნველყოფს 4 ვარსკვლავიანი სტანდარტით აღჭურვილ ნომრებს.

სასტუმრო „ალპინა“-ს მომსახურების ღირებულება დიფერენცირებულია სეზონების მიხედვით. სასტუმროს მომსახურების რეალიზაცია ხორციელდება სტანდარტული, საახალწლო და ზაფხულის სეზონის ფასების მიხედვით. სასტუმრო „ალპინა“-ში ნომრის გასაყიდი ფასი მერყეობს 80 აშშ დოლარიდან 165 აშშ დოლარამდე სეზონისა და ოთახის კატეგორიის მიხედვით.

სასტუმრო „ალპინა“-ს ტერიტორიაზე განთავსებულია რესტორანი, ლაუნჯ ბარი, გასართობი ზონა, საკონფერენციო დარბაზი. სასტუმროს ტერიტორიაზე ხორციელდება სათხილამურო და სნოუბორდის აღჭურვილობის გაქირავება. სასტუმროს გააჩნია უფასო ავტოსადგომი და წვდომა სათხილამურო გზასთან, მის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებულია TATRA-ს ფირმის საჩოჩიალო, რომელიც უზრუნველყოფს სტუმრების სათხილამურო გზაზე გადაყვანას.

შპს გუდაური სკი რესორტ-ის სასტუმროებს ბაზარზე მყარი პოზიციები აქვთ დაკავებული, რაც მოხერხდა როგორც მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევით ისე კონკურენტული სარეალიზაციო ფასების დაწესებით.

სასტუმროების კვებით ობიექტებში მკაცრად კონტროლდება პროდუქციის ხარისხი და ვარგისიანობის ვადები. საქართველოში საკვები პროდუქციის ხარისხს არეგულირებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი და ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები. კოდექსი განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს, კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას. კომპანიის მიერ აღნიშნული მოთხოვნების დაცვა ხდება მუდმივად.

შპს გუდაური სკი რესორტ ახორციელებს არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებას. გუდაურში, სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“-ს მიმდებარედ ხორციელდება და დასრულების ეტაპზეა 3 კოტეჯის მშენებლობა.

შპს „გუდაური სქი რესორტ“ ასევე ახორციელებს საინვესტიციო პროექტს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში. კომპანიას ქალაქ თბილისის მთავრობასთან 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საკუთრებაში გადაეცა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები და ხელშეკრულებით განისაზღვრა ინვესტიციის შესრულების ვალდებულება. საინვესტიციო ტერიტორიაზე შპს გუდაური სქი რესორტ-მა მოაწყო საფეხბურთო ბაზა, სადაც ვარჯიშებს მართავს როგორც ეროვნული ნაკრები, აგრეთვე სხვადასხვა კლუბები, ბაზაზე პერიოდულად ეწყობა საფეხბურთო კემპები. საინვესტიციო ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია სანერგე მეურნეობა, დასრულების ეტაპზეა ვილების მშენებლობა, აგრეთვე სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის მოწყობა. ვილებსა და სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრზე ძირითადი ხარჯები გაწეულია 2018 წელს. მათი დასრულება და ფუნქციონირების დაწყება იგეგმება 2019 წლის ბოლოს.

შპს გუდაური სქი რესორტ-ის დაფინანსება ხორციელდება როგორც კომპანიის საბრუნავი საშუალებებით, ასევე მოზიდული სახსრებით.

კომპანიის ფინანსური შედეგების ცვლილებება გასულ წელთან მიმართებაში განპირობებულია, იმით, რომ ჯერ კიდევ არ დაწყებულა იმ დამატებითი ობიექტების ფუნქციონირება, რომელთა მოწყობა-მშენებლობაზე შპს გუდაური სქი რესორტ-ის მიერ მიმდინარეობს ხარჯების გაწევა. აღნიშნული ობიექტებიდან შემოსავლების მიღება იგეგმება მათი ფუნქციონირების დაწყების მომენტიდან, რომელიც განხორციელდება 2019-2020 წლებში. რაც შეეხება სასტუმროს საქმიანობას, მათი შემოსავლების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია დატვირთულობის ხარჯზე.

რაც შეეხება რისკ ფაქტორებს, კომპანიისთვის რისკ ფაქტორს წარმოადგენს დოლარის კურსის ცვლილება, აგრეთვე სასტუმროს მომსახურებისთვის რისკ ფაქტორს წარმოადგენს პოლიტიკური სიტუაცია.

ჩვენ ვგეგმავთ გაყიდვების ზრდას წელიწადში 20%-ის ოდენობით. საქმიანობის სფეროში, სადაც ჩვენი კომპანია ფუნქციონირებს, მოწინავე პოზიციები გაგვაჩნია.

ჩვენ ოპერაციებს ვახორციელებთ სათავო ოფისის მეშვეობით, არ გაგვაჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ ვგეგმავთ ამ მოდელის შეცვლას. ჩვენთან დასაქმებულია დაახლოებით 150 ადამიანი.

შპს გუდაური სქი რესორტ-ის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი

11.09.2019

შპს „გუდაური სკი რესორტ“ ასევე ახორციელებს საინვესტიციო პროექტს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში. კომპანიას ქალაქ თბილისის მთავრობასთან 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საკუთრებაში გადაეცა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები და ხელშეკრულებით განისაზღვრა ინვესტიციის შესრულების ვალდებულება. საინვესტიციო ტერიტორიაზე შპს გუდაური სკი რესორტ-მა მოაწყო საფეხბურთო ბაზა, სადაც ვარჯიშებს მართავს როგორც ეროვნული ნაკრები, აგრეთვე სხვადასხვა კლუბები, ბაზაზე პერიოდულად ეწყობა საფეხბურთო კემპები. საინვესტიციო ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია სანერგე მეურნეობა, დასრულების ეტაპზეა ვილების მშენებლობა, აგრეთვე სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის მოწყობა. ვილებსა და სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრზე ძირითადი ხარჯები გაწეულია 2018 წელს. მათი დასრულება და ფუნქციონირების დაწყება იგეგმება 2019 წლის ბოლოს.

შპს გუდაური სკი რესორტ-ის დაფინანსება ხორციელდება როგორც კომპანიის საბრუნავი საშუალებებით, ასევე მოზიდული სახსრებით.

კომპანიის ფინანსური შედეგების ცვლილებება გასულ წელთან მიმართებაში განპირობებულია, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ დაწყებულა იმ დამატებითი ობიექტების ფუნქციონირება, რომელთა მოწყობა-მშენებლობაზე შპს გუდაური სკი რესორტ-ის მიერ მიმდინარეობის ხარჯების გაწევა. აღნიშნული ობიექტებიდან შემოსავლების მიღება იგეგმება მათი ფუნქციონირების დაწყების მომენტიდან, რომელიც განხორციელდება 2019-2020 წლებში. რაც შეეხება სასტუმროს საქმიანობას, მათი შემოსავლების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია დატვირთულობის ხარჯზე.

რაც შეეხება რისკ ფაქტორებს, კომპანიისთვის რისკ ფაქტორს წარმოადგენს დოლარის კურსის ცვლილება, აგრეთვე სასტუმროს მომსახურებისთვის რისკ ფაქტორს წარმოადგენს პოლიტიკური სიტუაცია.

ჩვენ ვგეგმავთ გაყიდვების ზრდას წელიწადში 20%-ის ოდენობით. საქმიანობის სფეროში, სადაც ჩვენი კომპანია ფუნქციონირებს, მოწინავე პოზიციები გაგვაჩნია.

ჩვენ ოპერაციებს ვახორციელებთ სათავო ოფისის მეშვეობით, არ გაგვაჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ ვგეგმავთ ამ მოდელის შეცვლას. ჩვენთან დასაქმებულია დაახლოებით 150 ადამიანი.

შპს გუდაური სკი რესორტ-ის დირექტორი

ირაკლი მინაშვილი



10.09.2019